ივერია

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთის ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ განცხადებათ-დასაბეჭდად უნდა მიგვართოთ: თბილისს რედაქციას, ყუკაში, ავშვლის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურთ ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებერივი სტრიქონი რვა კაპიკი.

რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც ბეოიტანოს. (10—6)

„ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჯსურს ჯერიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰგრათოს:

ტფილისშინ: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარეგან მცხოვრებთა უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცნობებს, რომ იგი გაზეთის გაბაზანის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ სელოს-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთა-სათვის შესახსენებლს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში ჯარიანდებენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 1 აგვისტო

მეცხრამეტე საუკუნეს თავისებური ფერი მისცა ესრედ წოდებულმა ეროვნულმა მოძრაობამ, ანუ ეროვნობის პრინციპმა. დასაწყისი და შუა ხანა აწინდელის საუკუნისა ევროპის წვრილმანმა ერებმა ბრძოლაში გაატარეს თავისუფლების მოსაპოვებლად. არც ერთს იმთგანს მშვიდობით და მორიგებით არ ჩაუგდია ხელში უფლება თავის ბედის გამგეობისა. საბერძნეთი, ბოლგარია, სერბია, ჩერნოგორია, რუმინია და თვით ვენგრია დიდხანს იბრძოდნენ, სანამ საწადელს აისრულებდნენ. ბევრი სისხლი დაიღვარა ამ პატარა სახელმწიფოებში, ბევრი მამულიშვილი გამოეთხოვა წუთი-სოფელს სამშობლოსთვის თავისუფლების ძებნაში და ბოლოს კიდეც დაგვირგვინდა მათი კეთილშობილური მეცადინეობა, თავიანთ თავის პატრონნი თითონვე გახდნენ.

როდესაც ევროპის წვრილმანი ხალხნი თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, გონიერ და განათლებულ ევროპის სიმპატია იმათკენ იყო, ევროპიელნი ეხმარებოდნენ: ფულით, იარაღით, ხანდახან ჯარებითაც. განა ვინ იქნება ისეთი გულქვავი, რომ კაი საქმეზედ დამდგარს კაცს ხელი არ გაუწვდინოს?

ასე მიმდინარეობდა პირველში ისტორია ევროპის პატარა ერთა. თვითუფლებობა მათი დამკვიდრდა და სამწუხაროდ თითო-ოროლას თითქოს დაავიწყდათ ის დრო და ჟამი, როდესაც ისინი ჰკვნესოდნენ სხვის უღელს ქვეშ და ეხლა თითონ დაიწყეს მათ სამეფოში მყოფ უცხო ტომის ხალხის ჩაგვრა. მერე რა უკადრის საქმეს არა სჩადიან! ავიწროებენ სხვის ენას, სარწმუნოებას, ზნეს, ჩვეულებას, ერთის სიტყვით, იმ ძვირფასს საუნჯეს, ურომლისოდაც ერი აღარ ერობს.

ასე სამარცხვინოდ იქცევიან ვენგრიელები. სწორედ გაუპირეს საქმე ვენგრიაში მცხოვრებს სლავიანებს და რუმინებს, განსაკუთრებით უკანასკნელთ. შეწუხებულმა რუმინებმა აიღეს და არზა მიართვეს იმპერატორს ფრანც-იოსებს, დაგვიხსენ გაჰირვებისაგან, აღარ შეგვიძლიან ავიტანოთ ამოდენა ძალმომრეობა და ასეთი დაჩაგვრაო.

ავსტრიის იმპერატორს, ბევრიც რომ სურდეს, ამ საგანს სამართლიანად ვერ გადასწყვეტავს, იმიტომ რომ არა ეკითხება-რა, ვენგრია შინაურს საქმეებს თითონ განაგებს. რუმინების საქციელი იწყინეს ვენგრიელთ და უარესად დაუწყეს დევნა: ტყუილ-უბრალოდ მოხელეებს ითხოვენ სამსახურიდგან, ქუჩაში გავლილ რუმინებს ქვებს ესვრიან, ადვოკატ რატიუს სახლი დაუნგრიეს და მრავალი ამისთანა ბარბაროსობა ჩაიდინეს იმ ვენგრიელთა, რომელთაც სულ ოცდა-ხუთი წელიწადია, რაც თვით-მმართველობა მოიპოვეს.

გული გემღვრევა, როდესაც ამისთანა უკანონობას ჰხედავ. გუშინდელი მონა დღეს გაბატონებულა და იმის მაგიერ, რომ სხვასაც სამართლიანად მოექცეს, როგორც თითონ თხოულობდა ნონობის დროს, უკუღმართობის გზას დასდგომია.

თვალი მოაშორეთ ამ სურათს, მიიხედეთ ინგლისისკენ და დასტკბებით ისეთის სანახავის ხილვით, რომლის ბადალიც ჯერ მთელს კაცობრიობის ისტორიას არ დაუბადნია. ეს ბახლავთ გლადსტონის გამარჯვება, რომლის ამბავიც გუშინდელმა დეპეშამ მოგვიტანა. გლადსტონის გამარჯვება მოსსწავებს, რაღა თქმა უნდა, ირლანდიის განთავისუფლებას მშვიდობით წყნარად, კანონმდებლობის წესით, უთოფ-იარაღოდ, თვით დიდის ინგლისის ერის ნება-სურვილით. აკი მოგახსენეთ, ეს ისეთი დიადი სანახავი იქნება, რომ ამ გვარს ისტორიაში ვერაფერს შევხვდებით.

ჩვენ თანავუგრძნობთ დაჩაგრულ ირლანდიელებს, ვიდრე სიმართლის გზას არ გადუხვევენ, მაგრამ თუ ეგენიც, ვენგრიელებსავით, ბოროტად მოიხმარებენ ასე ვშვიდობით მოპოვებულს თავისუფლებას, მაშინ უკეთესი იქნებოდა, რომ ირლანდიის განთავისუფლება გლადსტონის ხელით არ მომხდარიყო.

ა. ფრონელი

ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 31 ივლისს იყო 9 კაცი და 2 დედაკაცი. ამ დღეს მიიყვანეს 3 კაცი: თევდორე ტერენტიევი (9 წლ., მიხეიილის ქუჩა, სახ. ფინკისა), ტიმოთე კრიმსკი (10 წლ., დიდუბე. სარაჯიშვილის სახლი) და ოჰანეზ ვაჰანიანცი (5 წლ., ველიამინოვის ქუჩა, სახ. ელიაზაროვისა) და 1 დედაკაცი მარიამ აბულაძისა (10 წლ., ავჭალის ქუჩა, სახ. აბულაძისა); მორჩა ერთი კაცი—აკოფოვი; გარდაიცვალა ორი: ნედოსპასოვი (ყმაწვილი) და ტერენტიევი. 1 აგვისტოს იყო 9 კაცი და 3 დედაკაცი.

მაჰმადიანთა დროებით სახოლერო ფარდულში 31 ივლისს მორჩა ჩაშბავალი-ყიზი; 1 აგვისტოს ღილდამ ფარდულში 1 ავადმყოფი იყო.

31 ივლისს ავად გახდნენ და სახლში სწამლობენ: ბოღოსოვი (7 წლ., სოფრბ-კარაპეტის ხევი, სახ. № 11).

სარკინისგზო სამკურნალოში მიიყვანეს ანნა კობიაშვილისა, 30 წლისა, რომელიც სურამიდგან მოდენილა.

ბორჩალოს მაზრის უფროსის სიტყვით, 21 ივლისს ლორის საბოჭაულოშა, სოფ. ჯელალ-ოღლში ავად გამხდარა 6, შიშტაიში 1, ლოჯინის მთაზედ 1, ვარანცოვკაშიაც 1. 15 ივლისიდგან 21 ივლისამდე თრიალეთზედ გამხდარა ავად: შიპიაგში 5 და 5-ვე გარდაიცვალა; სანოშესაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 4; თაქ-კულისაში ავად გამხდარა 2, გარდაცვლილა 2; ედიკილისაში ავად გამხდარა 6, გარდაცვლილა 6; დარახევში ავად გამხდარა 4 და 4 გარდაცვლილა; ნარდევანში ავად გამხდარა 2, წინწყაროში 1 და გარდაცვლილა კიდეც; ავრანდოში ავად გამხდარა 8 და 8 გარდაიცვალა; ყიზილ-კილისაში ავად გამხდარა 2. გარდაცვლილა 2; ყარაჯალინის საბინა-დროებზედ ავად გამხდარა 1, გარდაცვლილა 1; გუნიაში ავად გამხდარა 1, გარდაცვლილა 1; ვარდისუბანში ავად გამხდარა 9, გარდაცვლილა 6; ძველ-ქვეშში ავად გამხდარა 6, გარდაცვლილა 4.

სიღნაღის მაზრის ექიმი იუწყება: სოფ. გურჯაანში 21-დგან 23 ივლისამდე ორი შემთხვევა იყო ხოლერითი ავად გახდომისა. ორიე ავადმყოფი რჩება, შემდეგ-კი აღარავინ გამხდარა ავად. სოფ. ანაგაში 28 ივლისამდე ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3. სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება: ლაგოდეხში 26 ივლისს ავად გახდა და 27-ს გარდაიცვალა 3; ამას გარდა, თამბაქოს პლანტაციაზედ, ბაქოს ახლო, 2 გარდაიცვალა; სოფ. ზემო-მაჩხაანში 28 ივლისს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2.

დუშეთის მაზრის უფროსი იუწყება: სოფ. ოქროყანაში 25 ივლისს 3 ავადმყოფი იყო, ავად გახდა 6, გარდაიცვალა 5, ბორისციხეში 26 ივლისს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; მცხეთაში 24-დგან 26-მდე ავად გახდა 14, გარდაიცვალა 3; წილკანში 27 ივლისს 20 ავადმყოფი-ღა იყო დარჩენილი და 4-ც კვლავ ავად გახდა.

ახალციხის მაზრის უფროსი იუწყება: სოფ. ასპინძაში 25-დგან—29-დე ავად გახდა 10, გარდაიცვალა 4; მუსხში ავად გახდა 7, გარდაიც. 5; ზემო-ოშორაში ავად გახდა 4, გარდაიც. 2, ქ. ახალციხეში კვლავ აღარავინ გამხდარა ავად.

ბორის მაზრის უფროსი იუწყება: სოფ. ცაგერში კვლავ ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1; სოფ. ციხის ჯვარში ავად გახდა 1, გარდაიც. 1; დუშაეთში ავად გახდა 1, გარდაიც. 1; მარანაში ავად გახდა 1; სოფ. ახალ-

ფელეტონი

ერთი კვირა ხევსურეთში

[illegible] ხანა მას შემდეგ, რაც ხევსურეთი აღარ მენახა, მისის მაღალის მ[illegible]ებით, რომელნიც მუდამ თოვლი[illegible]ნან შელესილნი, მისი საჯიხვეებ[illegible], თავიდგან ბოლომდის სალის კლდ[illegible]ი. ეს უკანასკნელნი თუმცა თითქ[illegible]ს ხუთი ათას ფუტს მიაღწევენ [illegible]ლით, მაგრამ თოვლს არ იყენებ[illegible]ზედ, ისხლტენენ, იშორებენ თავიდგ[illegible] და მიაბარებენ ბნელს, გულ-ჩ[illegible]ობილს ხევებს. კარგა ხანია აღა[illegible]ამეგონა ხევსურის მაღალის, ტ[illegible]ს მსგავსის ხმით მღერა: „თუ [illegible], ფშაველნო, ხევსურნო, ლაშქარი [illegible]ავიზიარონთ, ერთმანეთს მხარი ვუ[illegible]ოთ, მტერი-კი დავიზიაოთ“.

[illegible] ხევსურეთში ვარ „ადგილსა ვიწროს, მწირსა და შეუვალსა“, როგორც ამბობს ვახტანგი თავის ისტორიაში, და გავსცქერი ათას მხრიდგან გადმოდინარს ჩანჩქერებს, რომელნიც თითო ნაბიჯზედ გზას ულობავენ კაცს და თავზედ მარგალიტის ცვარს აფრქვევენ. ვხედავ ბეჭავს გუთნის დედას, ბეჭავს გუთნის პატრონს: გუთანში უღელი ხარი უბია, მეხრეც თითონ ხარი და გუთნის დედაც; გაავლეს გუთანს ერთს ადგილზედ და შეაყენებს, იღებს ხელში წერაქვს და ამით შეუდგება გუთნისაგან გაუტეხელის ადგილის თხრას. რა წამსაც ხევსურის გუთანს ჰნახავთ, მაშინვე იმას იფიქრებთ: ნეტავი ამ გუთანმა როგორ უნდა დაარჩინოს ხევსურის ოჯახობა, ცოდო-ბრალით როგორ იქმეფა ამ გუთნით მოყვანილი პურია. ხევსური ამას თითონაც კარგად ჰჭრძნობს და კიდეც იმიტომ ამბობს: „სისხლის პური ჭამი გვაქვის, ძმობილო, ჩვენ ყოფნა რა ყოფნაი ას!“

რამდენადაც ხევსურეთის არე-მარეა მწირი, უფრო მეტად მის მცხოვრებთა ჭკვა-გონებაა. ისე მედიდურად, თავ-მოწონებით არა მგონია სადმე საქართველოს კუთხეში დაფარფაშობდეს უმეცრება, ცრუ-მორწმუნეობა, როგორც ამ სალთა და შავთა კლდეთა შორის. ყველაფერი, ხილული და უხილავი, ბუნებაში ხევსურს ცრუ-მორწმუნეობის საგნად გაუხდია. ხევსურის ცრუ-მორწმუნეობას მომეტებულად ამხნევ-ასაზრდოებს და ფრთებს ასხამს მკითხავ-ქადაგების რჩევა-დარიგებანი. ბნელს, ოღრო-ჩოღრო კლდიანს ბილიკზედ მიმავალს ხევსურს რომ დაგორებული კლდის ანაგლეჯი ქვა თავის თავად მოხვდეს, დაზიანებულის პატრონი დაუყოვნებლივ მკითხავთან გარბის: რომელ ხატის მიზეზისაგან მოხდა ეს უბედურებაო? მკითხავი თავის სამკითხავოს „ბიტანს“ და უჩვენებს ერთს რომელსამე ხატს—ესა და ეს ხატი ედევნება, ემიზეზება შენს ნათესავსო. ხევსურს ხატისა დიდად ეკრძალება, ეშინიან და მაშინვე თავდარიგს შეუდგება, რომ ხატი მოიმადლიეროს, რათა მომეტებული უბედურება არ დაატყდეს თავზედ.

—ეხლ სწორად ოც საკლავ შამისრულდ—მარწმუნებდა ერთი ხევსური,—ხატებისად დაკლულ, ძმაი მყვანდ ავად; მაინც მაკვდ ჩემ ძმაი, მაინც, იმას იმით არა ეშველ. მაგრამ რაი ვქნათ, ჩვენ ჩვეულებაი ასეა, სხვა წამალ ჩვენ არა ვიცით, თუ რას ისივ ხატ-ღმერთ გვიშველსო, იქვ იმათ ვეხვეწებითავ.

ხევსური თუმცა ამას ამბობდა ენით, მაგრამ გულში-კი ჰფიქრობდა: ალბად რომელსამე ხატს კარგად ვერ „ვემსახურე“, ბლომად, კაი ძღვენი ვერ მივართვი, ჩემ ძმა იმიტომ „გაგრილდაო“.

ეს ნივთიერი ზარალი, რომელიც მკითხავ-ქადაგისაგან მოსდის ხევსურს ხომ არის, რაც არის. უბედურება ისაა კიდევ, რომ ეს უმეცარნი მრჩეველნი უმეცრებას ურჩევენ ხალხს. სკოლაში შვილს ნუ მისცემო, რადგან ხატი არ „უხდენს“, ხატსა სწყინსო. ძორჩა და გათავდა. აქ კრიტიკულს მსჯელობას ადგილი აღარა აქვს. კითხვა: რადა? რისთვისა? სრულიად უქმია. ბარისახოს სკოლის მასწავლებელი დამმარებული, დაღონებული შემომჩრიოდა, რომ ქადაგ-მკითხავები სწავლის საქმეს სკარვენ, წინ ეღობებიანო. ერთი შეგირდი გამიხდა ავად სურდოსაგან, მკითხავს დაებარა მშობლებისათვის, ჩქარა გამოიყვანე სკოლიდამ, თორემ შვილი მოგიკვდებაო. მასწავლებლის მხნეობ-

ქალაქში ავად გახდა 1, გარდაიც 6; ჩოჩეთში ავად გახდა 2, გარდაიც. 2; ერთაწმინდაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; მეტეხში ავად გახდა 2 და კავთისხევში ავად გახდა 28, გარდაიც. 4.

ახალი ამბავი

*** ტფილისის რუსულ გაზეთების რედაქციებს შემდეგი დეპეშა მოუვიდათ ალექსანდროპოლიდგან: „24 ივლისიდგან 30 ივლისამდე 150 ხოლერიანი ავადმყოფი მოვარჩინე და ამიტომ ყველას ვურჩევ შემდეგ წამალს: «აიღეთ ერთი ნაწილი კოლინჯანი ანუ მკლავ-წეწელა, (Калганъ) *) ხუთი ნაწილი 95°-ანი სპირტი დაასხით და ასე დააყენეთ 5 დღეს და წამალი მზად იქნება. ეს წამალი ხოლერიანს დაალევინეთ ერთი ჭიქა ლ იმ წამსვე ზედ დაყოლეთ ერთი ჭიქა წყალი; თუ ამ წამლის დალევას პირღებინება მოჰყვა, კიდევ ერთი ჭიქა დაალევინეთ და ავადმყოფი ამ წამსვე მორჩება. ამ წამლის შემდეგ კარგია ავადმყოფს დაალევინოთ ცოტა კონიაკი, ან კახური წითელი ღვინო, აუდუღებელი წყალი არ ასვათ, კარგია ჩაი და ადუღებული წყალი, ღვინის ხაშრის სიმღვის (винно-каменная кислота) ნარევი.

კაპიტანი სტრადოვსკი.

*** ჩვენ მივიღეთ სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან ბრძოლისათვის გორიდგან მღვდლის ლაზარე და ეკატერინე ტურიაშვილებისაგან 4 მანეთი, ალექსანდრა ლაზარეს ასულის ტურიაშვილისაგან 3 მან., და კონსტანტინე ლაზარეს ძის ტურიაშვილისაგან 1 მან., სულ 8 მან. ამ ფულისა გვქონდა 420 მან. 85 კაპ., ამითი შესდგა 428 მან. 85 კაპ.

*** 30—31 ივლისს ქალაქის გამგეობამ მიიღო შემოწირულებანი ხოლერით დაზარალებულთათვის: დ. ზ. მირზოევმა 100 მ., ე. ი. ფუღინოვმა 100 მ., ნ. დ. ხანდამიროვმა 5 მ., ვ. ვ. რაევსკიმ 3 მ., სულ შემოწირული ფული არის 5,457 მ. 60 კ.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 28 ივლისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს 2, გარდაიცვალა 3, მორჩა 2, ავად არის 32; ბაქოს საპატიმროში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 3, ავად არის 7, სამხედრო სამკურნალოში ავად არის 30. მთელს გუბერნიაში ავად გახდა 49, გარდაიცვალა 31, მორჩა 8, ავად არის 128.

*** დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 28 ივლისს შუშასა, პეტროვსკსა და დარუბანდში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 6, მორჩა 18, ოლქებში ავად გახდა 813, გარდაიცვალა 365, მორჩა 317. მთელს დაღესტანში 1683 ავადმყოფია.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 28 ივლისს ავად გახდა 2, მორჩა 2, გარდაიცვალა 3, ავად არის 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 306, მორჩა 145, გარდაიცვალა 144, ავად არის 199.

*** ერევნის გუბერნატორი იუწყება: 27 ივლისს ავად იყო 8, ავად გახდა 12, გარდაიცვალა 9, ავად არის 11; მთელს გუბერნიაში ავად იყო 198, ავად გახდა 140, გარდაიცვალა 96, მორჩა 32; ავად არის 210.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა ტფილისის გუბერნატორის თხოვნა შეიწყნარა და ნება დართო, გაიგზავნოს ქ. გორში ხოლერიან ავადმყოფთათვის ერთი მოძრავი ფარდული ათის საწოლითა და მოწყობილობით. ტფილისის გუბერნატორმა ამ ფარდულის გორში წაღება და გამართვა დაავალა მეხუთე სასანიტარო დასის თავმჯდომარეს ბ-ნს ი. გ. ხაჩატუროვს. გუშინ 1 მარიამობისთვეს, ეს ფარდული და სადეზინფექციო და სხვა წამლები ტფილისიდგან გაჰგზავნეს გორში და ამ სამკურნალოს მმართველად დანიშნეს გორის ქალაქის მკურნალი ბ-ნი ალიხანოვი.

*** ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორმა შემდეგის თხოვნით მიჰმართა ქალაქის მოურავს: რადგანაც ტფილისის დაბალ სასწავლებლებში საკუთარი მკურნალი არა ჰყავთ, ამიტომ საჭიროა, რომ სასადღეი და სახელია, ხოლო უცოდინობა, კეთილის მოკლება, სირცხვილი, სატირელი და სავალალოა. ეს მაგალითი იმ შეგირდს ეკუთვნის, რომელიც მშობლებს მკითხავის რჩევით გაეყვანათ სკოლიდამ, მასწავლებელსკი რის ტანჯვით და პირობის მიცემით, უკეთუ თქვენს შვილს რამე დაუშავდეს, პასუხის-მგებელი მე ვიყოო და თქვენს შვილის „თავ-სისხლიც“ მე გიზღოთო, დაებრუნებინა ისევ სასწავლებელში. რადგანაც შეგირდი ბევრს გაკვეთილებს არ დასწრებდა, სხვებს უკან ჩამორჩომოდა და დღეს სწორედ იმის განკითხვის დღე იყო: „რა ვქნაევ, მასწავლეო, მე ალალი რო მინდარის სწავლაი, მაგრა რო დედამამან არ მიტევენაე სკოლაჩია“, სთქვა თვალ-ცრემლიანმა პატარა ხევსურმა...

დიდებს ეკავრებათ სკოლა, ხოლო პატარაებს უყვართ. ეს საკვირველიც არ არის, რადგან ამისთანა ბნელს ბას მაინც დაუძლეევია ეს დაბრკოლება, თხუთმეტამდე შეგირდი მოუგროვებია, თუმცა შენობა სკოლისა არ უვარგა, მაგრამ მაინც მშვენივრად წაუყვანია საქმე. წელს შეგირდების გამოცდას დავესწარი, სადაც ინსპექტორი სკოლისა მ. ლეონიდი ბრძანდებოდა, და ფრიად სასიამოვნოდ დამრჩა შეგირდების გამოცდის მოსმენა. პატარა ხევსურები გაბედულად ლაპარაკობდნენ, ყველა კითხვაზედ მკაფიოდ იძლეოდნენ პასუხს.

მეტად საწყენად რჩებოდათ, თუ რამ შეცდომა მოუვიდოდათ, „გულს აკლებოდათ“ და თავის მარცხს ცრემლით აგვირგვინებდნენ. ეს სასიამოვნოა იმითი, რომ ჭგრძნობდნენ უცოდინარობის სირცხვილს. ამ ამბავს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და მკითხველისა რა მოგახსენოთ. მე ასე ვფიქრობ: პატარა ხევსურებს უყვარსთ სწავლა, სწავლას, ცოდნას იმათ თვალში ფასი სძეს; ცოდნის ქონა ხალხში პატარაები უფრო არ არიან ცრუ-მორწმუნენი, არ გასჯდომიათ ჯერ ძველ-რბილში მშობლითა და მეზობლების ამბო რწმენანი; ჯერ იმათი ტვინიც გაურყვნელია და აი სწორედ ეხლაა დრო მოესველისა. დღეს სოფელს ბარისახოში ახალი, ფართო და კარგი სახლი შენდება სასკოლედ; იქვე იქნება თავ-შესაფარი შეგირდთათვის, იმ შეგირდთათვის, რომელნიც შორეულ სოფლებიდგან იქნებიან, და იმედი გვაქვს, რომ შეგირდთა რიცხვი მოიმატებს ერთი სამად და ოთხად. ხოლო უნდა ვსთქვა, რომ პირველ შემთხვევაში საჭიროა პოლიციის დახმარება. თუ დასავლეთ ევროპაში სავალდებულოა შვილების აღზრდა, ჩვენ ვინ-ღა ვართ, ჩვენ უფრო არ გვეჭირს?! პრინციპიალურად რაც უნდა ცუდი იყოს ძალ-დატანება, ამისთანა საქმეში, მერე ხევსურეთში, აუცილებლად გამოსადეგი ღონეა.

*** ბაქოს ქალაქის მოურავს განუზრახავს სთხოვოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს და ინსპექტორს ბ-ნ გრაბოვს, დააარსონ სადგურს სანგაჩალაში კარანტინი იმ მგზავრებისთვის, რომლებიც ტფილისიდგან ბაქოში მიდიან მატარებლით № 3, რადგანაც ამ ბოლოს დროს ძალიან ბევრი მგზავრია ბაქოში მიმავალი და ბაქოს მახლობელ ადგილებში-კი ხოლერა მძვინვარებს.

*** ამ დღეებში შემახაში გარდაიცვალა ერთი მდიდარი კაცი, სამბატბეგ ლალაევი, 25 წლისა, რომელიც ხანდახან შემწეობას აძლევდა ხოლმე საქველ-მოქმედო საზოგადოებათ.

*** ოფიციალურ ცნობით თერგის ოლქში 24—27 ივლისს ავად გახდა 339 კაცი, მორჩა 126, გარდაიცვალა 119.

*** გუშინ-წინ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ ბაქოს გუბერნიიდგან 200 ვერსის მოშორებით ქერბალაისა და ასზიბალში ჟამი გაჩნდაო. აი როგორ იწყება ეს ავადმყოფობა: ჯერ აყრის ადამიანს პირის სახეზედ და ფეხებზედ მეწუკებს, მერე ეს მეწუკები ირწყობა და იარად ხდება. ამ ავადმყოფობას თათრები „იარ“-ს ეძახიან.

*** გზათა მინისტრს ვიტტეს წინადადებით საქონლის გადატანის გამგე კომიტეტმა დაადგინა: შემცირებულ იქმნას ფასი სადეზინფექციო და სასანიტარო წამლებისა და მოწყობილობის გადატან-გადმოტანისა აგრეთვე დააკლეს ფასი მოგზაურობის ბილეთებს მკურნალთა, სტუდენტთა და ფერშლებისთვის. ტარიფი 75%-ით არის დაკლებული.

*** პეტერბურგიდგან ტფილისში გამოგზავნილი მკურნალი უსპენსკი რკინის გზის სამკურნალოში ბროწსეკარის წამლით არჩენს თურმე ხოლერიან ავადმყოფებს.

*** როგორც გვატყობინებენ, მცხეთაში სადეზინფექციო კამერა მზად იქნება 4 აგვისტოს. ამ სადეზინფექციო კამერის მმართველად დანიშნული იქნება ექიმი ხარკოვი.

*** 30 ივლისს ჩამოვიდა ტფილისში სამეცნიერო გამოკვლევისთვის პროტექტორი ყაზანის უნივერსიტეტისა ს. ი. ბილკევიჩი.

*** როგორც უკვე უწყიან ჩვენმა მკითხველებმა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა 12,000 მანათი გადასდო სოფლებში ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად . ამ საქმის მეთაურად და გამგედ დაინიშნა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე უგანაოლ. თავ. ს.ა. გრუზინსკი. მაზრებში-კი დაინიშნა ზედამხედველები, რომელთაც მაზრები რამდენსამე ნაწილად უნდა დაჰყოს და თითო ნაწილში გაჰგზავნონ სასანიტარო დასები. მაზრის ზედამხედველთ დაევალათ: 1) თვალყური ადევნონ მოქმედებას სასანიტარო დასებისას, 2) დაავალონ ადგილობრივის მთავრობის მოხელეთ, რომ მათ ყოველ გვარი შემწეობა აღმოუჩინონ სასანიტარო დასებს, 3, თუ ვინიცობაა სასანიტარო დასმა ან ადგილობრივის პოლიციის მოხელეთ რიგიანად არ შეასრულეს თავისი მოვალეობა, ეს გარემოება მაშინვე აუწყონ ტფილისის გუბერნატორს და თავ. გრუზინსკის, 4) თავის დროზედ აუწყონ მთავრობას, რომელ სოფელშიაც ხოლერა გაჩნდება, 5) თვალ-ყური ადევნონ ხოლერიან ავადმყოფთა ნუსხის რიგიანად შედგენასა და დახარჯულ ფულის ანგარიშს, 6) თუ საჭირო იქნება, მაზრები ნაწილებად დაჰყონ და თითო ნაწილში ზედამხედველი გაამწესონ. ამ ზედამხედველების მოვალეობაა: ა) თვალ-ყური ადევნონ სოფლებში სისუფთავეასა და დეზინფექციის მოხდენას, ბ) აღმოუჩინონ შემწეობა სასანიტარო-სამკურნალო დასებს, გ) შეუდგინონ ოქმი მათ, ვინც სასანიტარო და სამკურნალო დასების ბრძანებას არ აასრულებს და ეს ოქმი გადასცენ მომრიგებელს მოსამართლეს, დ) ინ წამსვე შეატყობინონ მაზრის ზედამხედველს, როცა რომელსამე სოფელში ხოლერა გაჩნდება. 7) აუხსნან ხალხსა და ჩაგონონ, რომ სასანიტარო წესების ასრულება აუცილებელი საქმეა და უამისოდ ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია, 8) ჩაგონონ ხალხს, რომ მკურნალების მიერ მიღებული საშუალებანი სასარგებლოა ხალხისთვის, 9) სანიტარების დანიშნა და დათხოვნა თავის ნებით შეუძლიანთ მაზრის ზედამხედველთ.

ამასთანავე ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ ყველა სოფლის საზოგადოებას მზადა ჰყავდეს სამი ცხენი სამკურნალო მოწყობილობისა და სადეზინფექციო წამლების წასაღებ-წამოსაღებად და ორი კაცი, რომელთაც მოვალეობაა საჭირო წერილების ტარება.

ტფილისის მაზრა დაყოფილია 7 ნაწილად. 1) ნაწილს შედგენს დიღომისა, წყნეთისა, წავკისისა, ხატისთელეთისა, გვევისა და ლისის საზოგადოება. ამ ნაწილის ზედამხედველად დაინიშნა გ. მ. ტარიელოვი; 2) მეორე ნაწილის ზედამხედველად— ნ. კ. გარაყანიძე. ამ ნაწილს შედგენს საზოგადოება: ალექსანდრეფოფისა, ავჭალისა, ლილოსი, ნორიოსი, მარტყოფისა, ახალსოფლისა, ნოგო-ნიკოლაევსკისა და მუთანლოსი; 3) მესამე ნაწილი. მზრუნველი თავ. ს. ჩერქეზიშვილი. საზოგადოებანი: უჯარმისა, გომბორისა, ფრეიდენტალისა, სართიჭალისა, მარიენფელდისა, პეტერდორფისა, ხაშისა, პატარძეულისა, ბერთუბანასა, ნინოწმინდისა, საგარეჯოსი, გიორგი-წმინდისა, მანავისა და მალხაზოვკასი; 4) მეოთხე ნაწილი. ზედამხედველი თ. იასე სოლაღაშვილი. საზოგადოებანი: კოდისა, კუმისისა, წინწყაროსი, დაგეთხაჩინისა და სამშვილდისა; 5) მეხუთე ნაწილი. მზრუნველი იოსებ დოლინსკი. საზოგადოებანი: ვაშლოვანისა, დურნუკისა, ელისაბედდალისა, აღბულაღისა, კონსტანტინოვკასი და გეთისა; 6) მეექვსე ნაწილი. მზრუნველი—მილიციის პორუჩიკი კონსტანტინე ყავრიეევი. საზოგადოებანი: დიდი და პატარა თონეთისა, ელისაბედისა, მანგლისისა, სერგიეევკისა და მეავასი; 7) მეშვიდე ნაწილი. მზრუნველი ს. ზ. ზავრიევი. საზოგადოებანი: გიულკენდისა, გაჯალარისა, აღტაგლისა და ყარჯალისა.

*** ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისში ხარკოვიდგან წმიდა ნინოს დედათა სასწავლებლის საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეს თანაშემწე ბ-ნი პასხალოვი, გამოგზავნილი იმავე საზოგადოების საბჭოს მიერ.

*** განჯა: 30 ივლისს აქაურის გიმნაზიის დირექტორს ბ-ნს სტარიცკის დაეცენ ავაზაკები და მეუღლეს, რომელთაც გარდა ჟამნისა და დავითნისა არაფერი უნახავთ და არც გაუგონიათ. საეჭვოდ მისაჩნევია, ესმის თუ არა თითონაც ის, რაც შიგ უწერიათ. ვგონებ ექიმი, თუ თქვენც დამეთანხმებით, სნეულსა სჭირა, თორემ კარგა მყოფი უექიმოდაც იოლად გამოვა. დიპლომიანი მღვდლები ხევსურეთს, როგორც ჟამს, ისე ერიდებიან, უფრო ყოველ-მხრივ სარფიანს სამრევლოებს ეძებენ. ამ შემთხვევაში ისინი სტუდენტ და უმთავრესს თავის დანიშნულებას ჰლალატობენ. სასულიერო კაცი ვგონებ იმის სასულიერია, რომ სამრევლოს სულსა და გულს უპატრონოს და არა მარტო ჯიბე აივსოს ფულითა და ხურჯინი ტაბლებითა. სხვაგან სად იპოვნის შემთხვევას, რომ „ცხოვარნი არ წარიტაცოს მგელმა“, გარდა ხევსურეთისა?!“ მაგრამ ეჰ, მახლას, დღეს ცოტა არ არის უკეთესს მერმისს მოროგორც ზევითაც ვსთქვი, ხევსურეთზედ უკან ჩამორჩენილი სწავლა-განათლებით არც ერთი საქართველოს კუთხე არ არის და ერთად-ერთი სახსარი-კი ხევსურთა მორჯულებისა სკოლაა. მღვდლები დღეს აქა-მომდე, უნდა მოგახსენოთ, აქ არაფერს აკეთებდნენ „კურსების“ (ყველი) და ერბოს და ხატობებში ტყავების კრეფის მეტს. მღვდლები აქ არა დგებოდნენ, წელიწადში ორს კვირას არა რჩებოდნენ თავიანთ სამრევლოში, ამის გამო აქ სოცაცრს მაგალითებს შეჰხვდებით; ჰხედავთ ხევსურს, ქრისტიანს კაცს სამოცის წლისას, რომ პირჯვრის წერა არ იცის, ზიარების სახელი მხოლოდ გაუგონია, ეკკლესიის კარები არ იცის საით არის, იქნება რომ მონათლულიც არ იყოს და ტყეულად იყოს ჩაწერილი „მეტრიკაში“. დალოცვილი სასულიერო თავრობაც ამ ბეჩავს მხარეს უმარჯვებს სულ ნაბოლარა

ლე მისი დასჭრეს ორ ალაგას. დამნაშავენი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** კინტრაშის სოფლიდან: ხოლერისა აქეთ არაფერი ამბავია. ყველგან მშვიდობიანობაა. ხალხი ფოთიდგან ბათუმისკენ მიდის. 28 ივლისს ბათუმში კარანტინი დაწესეს.

*** გაზეთს „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, რომ ტფილისის ერთს მკურნალს მოსულია ინდოეთის ერთის ელჩისაგან ხოლერის წამლის რეცეპტი. ეს წამალი იხმარეს ტფილისში და სასარგებლო აღმოჩნდა.

*** ქუთაისიდგან სწერენ გაზეთს „Кавказъ“-ს, რომ თამბაქოს ქარხნის პატრონებს ძმათა ფირალოვებს უფასო სახაიე გაუმართავთ თავისს ქარხანაში მომუშავეთათვისაო.

*** იმავე გაზეთს სწერენ ბაქოდგან: „ხოლერა თანდათან განელდა ბაქოში. ხალხი ქალაქში ბრუნდება ათასობით. ქალაქს მეტი სიცოცხლე და მოძრაობა დაეტყო. მთელის თვითი დაეტეტილი მაღაზიები გააღეს და ვაჭრობა დაიწყო. ქარხნები მუშაობენ. სალიანის ბატალიონშიც ხოლერამ ძლიერ იკლო. ბაქოს გუბერნიაში-კი ხოლერა ისევ მძვინვარებს და საშიშია, რომ ხელ-მეორედ არ მოედოს ბაქოს.

ნუსხა

იმისი, რამდენი გახდა ავად ხოლერით და რამდენი გარდაიცვალა ტფილისში 22 ივლისიდამ 29 ივლისამდე.

(ოფიციალურ ცნობით)

	ავად	გახდა.	გარდაიც.
19—22 ივლისს	—	5	— 1
22-ს „	—	6	— 3
24-ს „	—	8	— 3
25-ს „	—	11	— 3
26-ს „	—	4	— 10
27-ს „	—	10	— 2
28-ს „	—	19	— 6
29-ს „	—	11	— 5
სულ		74	— 33

ხოლერის გაჩენიდგან ე. ი. 11 ივნისიდამ — 29 ივლისამდე სულ ავად გახდა 392, გარდაიცვალა 180.

გაკვრით

დიდი იმედი გვქონდა გუშინ-წინდელის კრებისა ქალაქის საბჭოში, საცა უნდა განეხილათ, თუ როგორ გადაარჩინონ ტფილისი ხოლერას. ასე გვეგონა, ძლიერი ქალაქი შემწეობას, დახმარებასა და ძმობას გაუწევს, თავისის ძალ-ღონით ხელს გაუწვდენს უღონო სოფელსო, მაგრამ, მაგრამ ამის შესახებ კრინტიც არ დაძრულა. ბ-ნ ნიკოლაძის წინადადება, რომ დავეხმაროთ სოფელს, სანამ ჩვენ არა გვეჭირდება ექიმები, შეწყნარებულ არ იქმნა.

შეიძლება ბევრმა კიდეც გვისაყვედუროს, რათ ვაწყენთ მკითხველს თავს ამის გამო საუბრით. რა შუაშია ქალაქი, რა მოვალეა ტფილისი რომ დაეხმაროს სოფელს, ყველა მოვალეა თავის თავზედ იზრუნოსო. ქალაქმა, რაც შეეძლო, თავის თავს უწამლა, სხვებისთვის სადა სცალიანო!

პატივცემულო მკითხველო, ნუ-კი გგონია მართლა, რომ ბ-ნ ნიკოლაძის წინადადება მარტო ფანტაზიისა და ოცნების ნაყოფი იყოს და არა დასაბუთებული სარჩილი? თუ ასე ჰფიქრობთ, დიდად სცდებით. ქალაქი სწორედ მოვალეა დაეხმაროს მის მასაზრდოებელს სოფელს; თუადამიანს ფეხებს შემოამტვრევენ, უსათუოდ თავი მაღე გაუხმება, მასთან ტვინიც და ფიქრიცა. ეს რომ ასე არ იყვეს, განა სიგიჟე სჭირთ პარიჟელებს, რომ ამას წინად იქაურმა მუნიციპალიტეტმა (ჩვენებურად თვით-მმართველობამ) აუარებელი ფული გადასდო, დავეხმაროთ სოფლებს, ხოლერას იქაც ისე შევებრძოლოთ, როგორც თვით პარიჟში და ეგრე მაღე მოვუღოთ ბოლოო.

დიაღ, ბატონებო, სოფელს ორგანიული კავშირი რომ არა ჰქონდეს ქალაქთან, ხელ-მოჭერილი პარიჟელები ასე გულ-უხვად არ მოეკიდებოდნენ ხოლერით დაზარალებულ სოფელს. მაგრამ, მახლას, იქ პარიჟია, აქ-კი უბადრუკი ქალაქი, იქ „ჩვენობა“ მეფობს და აქ-კი გაღმერთებული „მე“-ობა.

—

მკითხველი უეჭველია ყურადღებას მიაქცევდა გუშინდელს „ივერიის“ ნომერში დაბეჭდილს ბ-ნ პავლე ყიფიანის წერილს, რომლითაც ხოლერასთან საბრძოლველად იწვევს ახალგაზრდობას და სამართლიანად უსაყვედურებს ჩვენს თავად აზნაურობას, განთქმულს ძველად მეთაურობით ეირსა და ლხინში და ეხლა-კი უკან ჩამორჩენილს. ჩვენს გაზეთს ბევრჯელ მიუქცევია ყურადღება და ეხლაც იწვევს ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენის სოფლისათვის, ნუ დაიშურებს ნურც სწავლას, ნურც ჯანს და ნურც მცირეოდენს ნივთიერ ქონებას გაჭირვებულთა დასახმარებლად.

ვისაც ვერ მოუხერხებია და არ იცის, როგორ შეუდგეს საქმეს, შეუძლიან მიჰმართოს უგანათლ. თ. პ. გრუზინსკის თუნდა წერილობით, თუნდა პირადად, და შესაფერს დარიგებას მიიღებს. სათავად-აზნაურო ბანკმა მათ მიანდო, მოაწყოს გორის მაზრაში ხოლერასთან ბრძოლის საქმე და მეთაურობა გაუწიოს, ამისათვის უგანათლ. თ. პ. გრუზინსკი არავის უარს არ ეტყვის არც დარიგებისა და არც საშუალების მხრივ, რამდენადაც-კი შესაძლებელია.

გუშინდელ „კავკაზის“ ნომერში იყო მოხსენებული, რომ ტფილისის მაზრა შვიდ სამზრუნველოდ დაუყვიათ და თითო სამზრუნველოს ცალკე მზრუნველი განაგებს. ურიგო არ იქნება, გორის მაზრაშიც ასე მოიქცეოდნენ. ნუ თუ მთელს მაზრაში ათი ყმაწვილი არ მოიპოვება, რომ ამ საქმეს შესწიროს თავისი ძალ-ღონე?

დაბა ᲦᲐᲠᲘᲡᲘ

(მოწერილი ამბავი.)

სოფ. ტყიბულა. ტყიბულას ეხლა სულ სხვა ფერი და იერი ადევს. ამ ბუნებით შემკულს სოფელში, სადაც აქამდე ადგილობრივ მცხოვრებლების მეტი არავინ იყო, ეხლა ხოლერის შიშმა ბევრი მოქალაქე გამოისტუმრა აქ საგზაკოდ სხვა-დასხვა ადგილიდგან. ვისაც-კი გაუგონია აქაურის ჰავის სიკარგე, ყველა აქ მოეშურება ამ გაჭირვების დროს, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ იმდენი საცხოვრებელი სახლი არ მოიპოვება, რამდენიც წრეულს მუშტარი გამოუჩნდა, და ამის გამო ბევრი ისევ უკან გაბრუნდა. რაც სახლება იყო აქ, ან რკინის გზის სადგურის მახლობლად და ან დუქნების ახლო-მახლო, სულ დაქირავებულია. თუმცა მშვენიერი ჰავაა და ადგილის მდებარეობაც მთაგორიანია, მაინც ხოლერის მოახლოებების ამბავმა ყველანი დაგვაფაცურა და დაუყოვნებლივ შევუდექით სიწმინდის და სისუფთავის თადარიგს. ადგილობრივმა პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა აბულაძემ ყველა აქაური დუქანი დათვალიერა და ვისაც-კი აღმოაჩნდა უვარგისი „ტარანი“, ან ხილეულობა, სულ გადააყრევინა და ყველას გაასუფთავებინა საჯინიბოები, ფეხის-ალაგები ᲦᲐ სხვა უსუფთაო ადგილები. ბ-ნმა ბოქაულმა ყველას მოკლედ აუხსნა, თუ რა საშინელი მტერი გვიახლოვდება და როგორ და რა საშუალებით უნდა შევებრძოლოთ. რაკი ხალხმა გაიგო, რომ პირველი საქმე სისუფთავე ყოფილა ხოლერის წინააღმდეგ, ყველა დიდის თავგამოდებით იცავს სიწმინდეს და სისუფთავეს. ამას გარდა, ჩვენდა დასათვალიერებლად და დასარიგებლად ხუთს ივლისს აქ გვეწვია ქუთაისიდგან სასანიტარო კომისია თ. დავით ნიკარაძის თავმჯდომარეობით, ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწეთი და მაზრის ექიმითურთ. კომისია პირველად ადგილობრივ აფთიაქში შევიდა და იკითხა: კარბოლის სიმყავე და სხვა სადეზინფექციო წამლები საკმარისი არის თუ არა ტყიბულისათვისაო? აღმოჩნდა საკმარისი იყო. შემდეგ კომისიამ ბაზარი დაათვალიერა და ყველას დაავალა სისუფთავის დაცვა და სადეზინფექციო წამლების ყიდვა. კომისია, ტყიბულში რომ მორჩა თავისს საქმეს, შემდეგ მეაქციეთა ქვის ნახშირის მადანში გაემგზავრა, სადაც მუშების სახლები დაათვალიერა და მეაქციეთა საზოგადოების წარმომადგენელთ დაავალა დაუყოვნებლივ აშენება საავადმყოფოსი ათის ხოლერიან ავადმყოფისათვის და აუცილებლად ექიმის, ანფეარშლის ყოლა. იმავე დღეს ორი სასანიტარო დეპუტატი დანიშნა და იმათ მიანდო ფხიზლად თვალ-ყურის დება სისუფთავის დასაცველად ტყიბულში და ქვის ნახშირის მადანში. მეორე დღეს კომისია ქუთაისს გაემგზავრა.

ეხლა ტყიბულელები, თუ სისუფთავეს რამე ველა-კი შეუძლია, სწორედ ისე ვართ მორთულ-მოკაზმულნი და განსაპეტაკებულნი, როგორც კარგი პატარძალი. თუ მართლა, როგორც ამბობენ, ბ-ნ ხოლერას ისე ეშინიან სიწმინდისა და სისუფთავისა, როგორც ეშმაკს სამოთხისა, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აქ ვერ მობრძანდება და თუ მაინც და მაინც გაუწყრა მას ქიაჩი და ჩვენდა დაუპატიჟებლად გვესტუმრა, ვგონებთ ვერაფერს ხერხს ჰნახავს ჩვენში და მოსაელისთანავე უეჭველად ჩაბარდება თავისსავე პატრონს.

ერთი ამბავიც უნდა დავსძინო. ათს ივლისს პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა აბულაძემ, უმაღლესის მთავრობის მოწერილობის ძალით, ყრილობა მოახდინა საწირის სოფლის საზოგადოების მცხოვრებლებისა და გამოუცხადა მთავრობის განკარგულებით ექვს-ექვსის შაურის გარდახდა თითო კომლზედ ხოლერასთან საბრძოლოდ, ვინიცობაა ჩვენს სოფელში იჩინოს თავი. ეს ფული ამ მოკლე დროში უნდა მოგროვდესო, და თუ არ გვეწვია ეს საშინელი სენი, იმ შემთხვევაში ეს ფული ისევ უკან დაგიბრუნდებათო. ყრილობას როგორღაც არ ეკაშნიკა და ყოყმანი დაიწყეს. ზოგი ამბობდა: „არ შეგვიძლიაო“, ზოგი იძახდა: „კარგი იქნება, კარგიო“. უმრავლესობა-კი უარზედ იდგა: „არა გვაქვს შეძლება და ვერ გადავიხდითო“. ბ-ნმა ბოქაულმა ხალხი მამა-შვილურად დაარიგა და ურჩია ამ მცირე და ისევ მათთვის მოსახმარ ფულის გარდასახადის გარდახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც მთავრობის კანონიერს მოთხოვნილებას არ ასრულებს, თითო მანეთით იქმნება დაჯარიმებული და ეს ექვსი შაურიც ჯარიმას გარეშე ისევე გარდახდებაო. ამ დროს ხალხის წინ წარმოსდგა კარგი ვექილივით სამი ვაჟბატონი და მთელის საზოგადოების პირით მოახსენა ბოქაულს: „მთავრობას ჩვენი ჩამორჩენა არ შეუძლიან, ვერ გადავიხდით ვერც ჯარიმას და ვერც იმ ექვს შაურსაო“. ყრილობაც იმ ვაჟბატონების ფეხის ხმას აჰყვა და ერთ-ხმად დაიძახეს: „არ შეგვიძლიან, ვერ გადავიხდითო“. ბოქაულმა შენიშნა, რომ ის სამი კაცი, რომელიც ხალხს მეთაურობას უწევდა, მეტად უშლიდა იმის საზოგადოებასთან მოლაპარაკებას და ამის გამო სამივე მოაშორა ყრილობას. ისინი, რომლებიც უთავბოლოდ იძახდნენ: „არ გვინდა, არ გვინდაო“, მიიხმო და ჰკითხა: ხალხნო, რომ იძახით: „არ გვინდა, არ გვინდაო“, აბა მითხარით, რა არ გინდათ? რა გითხარით მე ისეთი, რომ სანდომი

ველით ქრისტიანობის გავრცელებისას ხევსურეთში, თუ ჩვენს იმედს არ უმტყუნა თიანეთის მეორე სანლაღრჩენოს ბლაღოჩინმა მღვ. კოს. სემიჩმა და, როგორც უკვე საიმედოდ დაიწყო საქმე, ბოლო ისე გაატანა. ეს პატივცემული მოძღვარი მხნედ და თავ-გამოდებით ებრძვის ყველა იმ ცრუ-მორწმუნეობას, რომელიც მაზარალებელია ხალხის ნივთიერისა და გონებრივის ცხოვრებისა, სცდილობს აღამაღლოს მნიშვნელობა ეკკლესიისა და მღვდლისა დეკანოზ-ხევისბრებზედ და მკითხავ-ქადაგებზედ. ეს უეჭველად ასეც უნდა მოხდეს, უკეთუ გვინდა, რომ აქ სწავლამ, სკოლამ ფეხი მოიკიდოს. მღვდელი, რაც უნდ გაუნათლებელი იყოს, ხალხს იმას არ ურჩევს სკოლაში შვილებს ნუ მისცემთო. საყდარი, რაც უნდ უხეირო მოსამსახურენი ჰყავდეს, მაინც მეტს ასწავლის, ვიდრე ხევსურის ხატი, სადაც ერთის ზარის მეტი არაფერი ჰკიდია და შავის დახავსანებულის ლოდების მეტი კაცის თვალს არა რა ახარებს. თავიანთ ხატების ლოცვას არცა ვინ უშლის ხევსურებს, ხოლო საკვირველი ისაა, რომ ერთი და იგივე წმინდანი თავის ხატში და ეკკლესიაში სხვა-და-სხვა გვარად სწამს და პატივისცემასაც ამ გვარად უწევს. საყდარში შესვლა ჭირივითა სძულს ხევსურს, ამიტომ მღვდლები წესებს სახლებში უსრულებენ. როგორ გგონიათ, რად ეკრძალება ხევსური, რად უფრთხის ეკკლესიას? ეკკლესიაში შესვლით ის აშინებს, თითონ არ გაუწმინდურდეს, თუ ეკკლესია არ გააუწმინდუროს?.. ხატთან ახლო არ მიდის, ეს მართალია, რადგან სცდილობს თავისს უწმინდურის ფეხის დადგმით არ გააუწმინდუროს წმიდა-წმიდათა, ხოლო ეკკლესიაზედ ამას ვერ ვიტყვით. ზოგს ადგილას, როგორც, მაგალითად, ხახმატში კაცები და დედაკაცები ერის ვაი-ვაგლახით შევიდნენ საყდარში; დედაკაცებს კენჭები ჩაედოთ პირში. იმიტომ არ შედიან, რომ თვით ადგილი, რაზედაც საყდარი სდგას (საყდარი იქვე ხატის გვერდზეა), წმიდა ადგილად მიაჩნიათ: „აქ თამარ-მეფის ნასადგომარი ასაგ“.

აქ ბლაღოჩინის ბრძანებით და პოლიციის დახმარებით ორასამდე კაცმა და ქალმა მოიყარა თავი. ამ ორას სულში თუ ორს ენახა შემოსილი მღვდელი და მოესმინათ წირვა, დანაჩენს არაფერი გაეგონათ. ხალხი განცვიფრებული შესცქეროდა ხატებს. წირვის შემდეგ სამმა მღვდელმა ბლაღოჩინითურთ აკურთხეს წყალი და ასხურეს ხალხს აიაზმა, წარმოითქვა ოროდე სიტყვა. შემდეგ ხალხი ისევ საყდარში წავიდა, მაგრამ მეორედ შესვლა ისე აღარ ეძნელებოდათ, როგორც წინად. შემოუარეს ეკკლესიას რამდენჯერმე ისეთს ადგილზედ, სადაც ხევსებერსაც-კი არ შეეძლო მიხვლა. ესეთივე ცერემონია მოხდა ხატების გამოსვენებით, რომლებიც თითონ ორ-ორს ხევსურს ეპყრათ ხელში, ს. ბარისარში. ბლაღოჩინის კითხვაზე: „რატომ მღვდელს არ მიიწვევთ ხოლე თქვენს ხატობებში საკლავის, ტაბლისა და სასმლის საკურთხებლადო?.. ხალხი იმ პასუხს აძლევდა ყველგან, რომ ყოველთვის მღვდელი ჩვენთან არ არის და ჩვენი დეკანოზი-კი ჩვენთან განუშორებელიაო. თუ მუდამ ჩვენთან იქნებიან მღვდლები, ჩვენ არ მოვიერიდებითო, და ბლაღოჩინმაც აღუთქვა, რომ ამას შემდეგ მღვდლები მუდამ თქვენთან იქნებიანო. სამის საზოგადოების ხალხმა, რომელნიც არიან: ბარისახო, ღული, ახული, დაადგინეს განაჩენები; ამ განაჩენების უმთავრესს მუხლებს აქვე მოვიყვანთ:

1) ხალხმა უნდა იაროს მუდამ ეკკლესიაში წირვა-ლოცვაზედ, მიიწვიონ წესების ასრულებისათვის მღვდლები ᲦᲐ არა დეკანოზები; 2) ყველა მიცვალებული ცალკე გაუთხარონ საფლავები და არ შეარყიონ გარდაცვალებული ორის სამის წლისა, არ ამოყარონ იმისი ძვლები და სხვა არ დაასაფლავონ იმავე საფლავში; 3) არ ატარონ დედაკაცები წიდოვნებისა და მშობიარობის დროს ცალკე აგებულს ქოხებში (სამრეკლოებში) და აღარც იქონიონ ამისთანა ქოხები; 4) არ მოიტანონ ძალათი ქალიშვილი ცოლად; 5) ატარონ შვილები სკოლაში და სხვ. თითოეულს მუხლს განაჩენისას ვინც დაარღვევს, იმან უნდა გარდაიხადოს ჯარიმა ეკკლესიის სასარგებლოდ ოც-და-ხუთი მანათი.

ყველა მუხლი განაჩენისა სასარგებლოა ფრიად და მე ჩემად ვისურვებ აღსრულებაში მოეყვანოს მ. კონსტანტინე სემიჩს, როგორც იმედი გვაქვს იმის მხნეობისა და თავ-გამოდებისა.

იქაური

და შესაძლებელი არ იყოს? ისინი სახტად დარჩენენ და მიუგეს: „არც ჩვენ ვიცით, ბატონო, რა არ გვინდა, აი ისინი იძახდნენ, არ გვინდაო, და ჩვენც არ გვინდას ვიძახდით“. ბ-ნმა ბოქაულმა კვლავ დაწერილებით გაუმარტა ხალხს, თუ რისთვის უნდა გარდაეხადათ ექვს-ექვსი შაური კომლზედ. ამის შემდეგ ყველამ დიდის სიამოვნებით გამოაცხადა სურვილი ფულის გადახდაზედ და დაიშალნენ. ხოლო იმ სამს ვაჟბატონს ბ-ნმა ბოქაულმა ოქმი შეუყენა და ქუთაისის მაზრის უფროსს წარუდგინა.

ვ. მასხულია

წარმოდგენა

რამდენსამე უმაწვილ-კაცს უურნალისტს განუზრახავთ სოციალური სასწაულნი დასაჩვენა ეურეკაიაში იმ გეგმისამებრ, როგორც ბელდასმის აქვს აწერილი თავის რომანს „ასია წლის შემდეგ“-ში. პარიაეს ზოგიერთმა ფეფლიანმა კაცმა პირობა მისცეს თურმე ამ უმაწვილ-კაცებს, ჩვენ დაგებმარებით ფეფლით, მაგ საქმისათვის თანხას შეგიდგენთო. ერთის თვეის შემდეგ პარიაეში დაიწყება საკარო ლექციები, რომ ხალხი მიიზიდოს ამ ასაჯაზეისაკენ, და შემდეგ უმაწვილ-კაცები, რომელთაც ეს საქმე უგანირთათ, სამშრეთ ამერიკაში გეგმა ზავრებიან. ამ ასანი რიო-პარანას ნაპირად მიწას ამოარჩევენ, შემდეგ ქმაბედიანა მოამზადებს რამდენსამე წლის სანოკაგეს და მაშინებს, რაც-კი მიწას შესამეზეებლად დასჭირდება. ეინც ამ ასაჯაზეში სიცხოვრებლად წავა და შემდეგ ალარ მოასერეგებს აქ ცხოვრებას, შეუძლიან უკანეკ დაბრუნდეს, გზის ხარჯს მასცემენ. ასაჯაზეის მიწა-წყალი მეტად ნაყოფიერ ადგილას იმყოფება, ქალაქ ენკარანიონის აღმოსავლეთით. ჭკვა ამ ადგილებში მშრალია, თბილი და ჯან-საღი. მაწვ 3—4 მან. ჭლიბს გაქტარი. ამბობენ, ბეკრმა კანაცხადა თანხმობა გაგაასხლდეს ამ ასაჯაზეშიო.

— ლეგბოა მომზერენი ძალიან გასაოცარ ულნი უნდა იყვნენ. როგორც ვიცით, ეოველნი ამას ამბობენენ, რომ ქალის ტანი უფრო ლოტას აერთს კაცის ტანზეო და ამიტომ ეონენბრივად ლეგბაკი დაბდა სდგას მამაკაცზედაო. განსაკეთრებით დიდად ეულ-მოდგინეთ ამტკიცებენ ამას განსეკეთებული პროფესორი ბიშოფი. როგორც გამორკვეულია, ორმა შეა რიცხვით ქალის ტანი აერთს 1,250 გრამს, კაცის 1,350 გრამს. და აგერ, რა უცნაური სამქმე დაემართა და ბეკმა როგორ უმეთოდა ბიშოფს: როცა იგი გარდაეკვალა და მისი ტანი ასერთეს, აღმოჩნდა, რომ 1,245 გრამი ჭლინდა, 5 გრამით ნაკლები დედაკაცის ტანზედ.

— ჩუბაის კაზეოებმა დიდი ქალაკეკა დაიწეეს, რომ ამიერიდგან ჩესკლები ამ ოქმედეს ნეულარ ეიდიან, რომელიც ეეეგრიიდგან მოაქვთ, ნურც ამ ოქმედითთ გამოცხეარს ეურს, მხოლოდ ამ ეურის მცხობელებეკანისაკენ ეიდიან ეური, რომელნიც დაამტკიცენენ, რომ ჩესური ხარბლისაა.

— ლგბალტონის ნეკი ძალიან ეულ-დაგებით ეეუსწავლია ფეზიოლოგიის მხრივ და ესტეტიკისა, ზნეობისა და პოლიტიკეურის მხრივიც ერთ ინკალაესელს ქალს, მისს ეკიდლს, რომელმაც მთელი წერილი დაჭბეულა ამ შესანიშნავის კაცის ნეკის შესახებ. იგი ამტკიცებს, რომ ლგბალტონი მართლაც შესანიშნავი კაცია, რაგვარ ნეკი გრეკელი და სწორე აქვს და ეს-კი უტეეური ნიშანია ამისი, რომ მას განსაკეთრებული ნიშა აქვს ბოქაული ხალხის მმართველის და წინ ძღოლისაო.

— ეკგელენიას ახლოს, ქალაქ ლოგანსეში ამის წინად დეეული ჭლინია ორის ქალს, რომელთაც ერთი კაცი ჭეეარებათ. ბირეკლად რეეოლეერება 20 ნაბიჯის მანძილზედ ესროდათ, მოორედ—15 ნაბიჯისა და, დასასრულ, მესამედ—10 ნაბიჯის მანძილზედ. ეკანასკნელს სროლაზედ ეტერთა ქალი, 17 წლისა, მმამედ დაეჭრალა, ტეეია ფეფლეტეეში მოხეედრია. დეეული დამსწრე-მოწმეებსაც ქალები ეოოგიდან.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲕᲐ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ.

	მიდდგომ ლსის.	ბაბეკი. ᲒᲔᲚᲘᲡ.	ᲒᲔᲚᲘᲡ.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ᲮᲣᲗᲘ-ᲛᲐᲜᲐᲗᲘᲡᲘᲜ ᲝᲠᲨᲠ .	7,80	7,82	— ,,
ᲢᲐᲛᲐᲨᲘᲜᲘᲡ ᲯᲣᲠᲜᲘᲜᲘ .	156	156³/₄	— ,,
ᲮᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲠᲔᲩᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ	1,08	1,10	— ,,
5% ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲒᲘᲡ ᲒᲘᲚᲘᲗᲘ	— ,,	— ,,	234¹/₂
— ᲛᲔᲝᲠᲔᲡ	— ,,	— ,,	222³/₄
ᲡᲐᲡᲢᲔᲚᲛᲭᲝᲗᲝ ᲛᲝᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲒᲔᲑᲘ. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ . .	— ,,	— ,,	192¹/₂
ᲒᲠᲘᲜᲒᲝᲜᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘᲡ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ:			
6%	102³/₄	— ,,	— ,,
5%	99¹/₂	— ,,	— ,,
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 6% .	102³/₄	— ,,	— ,,
5%	99³/₄	— ,,	— ,,
5% ᲝᲚᲔᲜᲘᲐᲒᲐ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲘᲡ	98³/₄	— ,,	— ,,

ᲒᲐᲛᲝᲛᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

ᲛᲘᲛᲝᲛᲚᲕᲚᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲐᲕᲡ ᲖᲔᲓᲐᲖᲔ

ᲠᲐᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲛᲚᲕᲚᲐ

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაკოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაკოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲯᲐᲡ ᲨᲣᲐ.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 ᲬᲣ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲡᲚᲐ:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეიელის ნოეოროსიისკენ, ᲙᲘᲠᲘᲐᲠᲝᲑᲘᲗ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეიელის ფოთის და ყველა ნავთსადგურში. ᲮᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარეგ სტამბოლში.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲨᲘ ᲛᲝᲓᲐᲡᲚᲐ:

ᲮᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ: საღამზე, ოდესიდ გან, შორის გზით. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲑᲘᲗ, დილით, ოდესიდან, მოკლე გზით, გამოიელის ერჩსა და ნოეოროსიისკეზე. ᲙᲘᲠᲘᲐᲠᲝᲑᲘᲗ დილით, სტამბოლიდგან.

ᲤᲝᲗᲨᲘ ᲛᲝᲓᲐᲡᲚᲐ:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ᲮᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამზე, ოდესიდგან. ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ და საქონლისა ბათუმიდგან ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, გადისაოთს.

ᲤᲝᲗᲝᲜᲓᲒ ᲒᲐᲓᲐᲡ:ᲜᲡ

საფოსტო და სახალხო ოდესში და ყველა ნავთსადგურში შეიელის, ᲙᲘᲠᲘᲐᲠᲝᲑᲘᲗ. დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ᲮᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეიელის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებენ უსაგზლოდ.

ᲜᲘᲮᲠᲘ

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	„ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ.	„ „ „
„ „ 2	„ „ „
თონ. წით. პურ. 1 ხარ.	„ „ „
„ „ „ 2	„ „ „
„ „ „ 3	„ „ „
ᲯᲯᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲚᲐᲕᲐᲨᲘ.	
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ.	კ.
მე-2 „ „ „ „	.
მე-3 „ „ „ „	„
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა	8 „
„ „ 2 „	„
სუკი — — —	14 „
ცხვრის ხორცი — —	9 „
ღორ. ხორ. ᲣᲢᲧᲝᲛᲔ 1 ხარ.	1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ᲢᲧᲐᲕᲘᲜᲐᲓᲔ	6 „

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲩᲘᲡᲔ, ᲡᲐᲯᲘᲗ. ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲨᲘ №№ 14—16

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲙᲘᲚᲘᲡ:

ᲨᲣᲐᲓᲦᲘᲡ 12-ᲓᲐᲜ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ 2 ᲡᲐᲐᲗᲛᲔᲓᲘ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 5-ᲓᲐᲜ 7 ᲡᲐᲐᲗᲛᲔᲓᲘ.

ᲙᲘᲠᲘᲐ-ᲨᲐᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲓᲦᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ 1 ᲡᲐᲐᲗᲛᲔᲓᲘ. (150—83)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

ᲠᲣᲡᲘ ᲛᲒᲔᲚᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ Გ. ᲤᲐᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5

2) „ჩხუბი ერთი კეკრცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5

3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანლისა . „ 5

4) „ქართველ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80

5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50

6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30

7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.

ᲙᲜᲘᲜᲐ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲘᲐᲙᲘᲜᲗᲝᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲜᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲙᲜᲘᲜᲐ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲣᲮᲠᲐᲜᲑᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘᲗ ᲛᲭᲣᲠᲐᲠᲘᲗ ᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲗᲐ და ᲜᲐᲪᲚᲝᲗᲐ 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲤᲘᲪᲠᲐᲓ გარდაცვალებასა პირველი შვილისას, ხოლო მეორენი—ძმისას, თავ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜ-ᲫᲣᲮᲠᲐᲜᲑᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ დუშეთის მაზრის სოფ. მუხრანში, ორს აგვისტოს. ეტლები სადგურ ქასზე დაბხვდებათ მოსულთ. (2—104—2)

ᲡᲐᲯᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲣᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲔ

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაცებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლელი: 1) საკომერციო კანონმა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა სასნგარაშო ოთოქთი, 5) საკომერციო მაწერ-მოწერა, 6) საკალიგრაფია და სასამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფელ-წერა და წერა კარკეკეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სასლი ალექსანდრე ფრიდანოვისა, № 9, სერგიევსკის და ხაგორნის ქუჩაზე, ანოთაკეკის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ბ. მიდდანსს, ტფილისს. (24—80—1)

ᲒᲐᲛᲝᲥᲘᲓᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამ ხასაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი;

ᲖᲐᲓᲘᲒᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲙᲝᲚᲢᲤᲝᲠᲘᲡᲐ

გადმოთარგმნილი ა. ანნაზაროვისმიერ

ფასი 20 კაპ.

იქვე ისყიდება ა. ანნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ᲑᲘᲠᲙᲘᲚᲘ“ და ჰეირს 40 კაპ.

ᲡᲐᲐᲠᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

1892 წ. 1-ს ივნვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვითო. . .	10 მ.—კ.	6 თვითო . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„	5 „ . . .	5 „ 50„
10 „ . . .	8 „ 75„	4 „ . . .	4 „ 75„
9 „ . . .	8 „ —„	3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 „ . . .	2 „ 75„
7 „ . . .	6 „ 50„	1 „ . . .	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელი წლით, სოფლის მასწავლებელთ „ევერია“ მთელის წლით დაეთმნ. 3 მან. ტფილისის გარეგ მცხოვრებთ უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის სახელით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადგილზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მაგალითი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვითს განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელ ერთ წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვითს პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲛᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მოოხუ გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., ბირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო ბირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოანგარიშება ამის გვერდობაზე, რამდენს ადგილსაც დაიკერს 25 ასო გაზეთის ტაქსტისა.

ᲬᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘ და ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝᲓᲒ დანიშნული წერილები კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ᲬᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘ, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნეს. არ-დასაბეჭდს ᲬᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ეკუთვნ მოსთხოვენ.

ᲐᲠᲐ-ᲒᲐᲖᲐᲠᲘ მიწერ-მოწერას არ-დასასაბეჭდთა ᲬᲔᲚ-ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ და ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲡ შესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲥᲐᲕᲐᲫᲔ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 1-го Августа 1892 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ.